ქ. წალენჯიხა 18 ოქტომბერი 2022 წელი

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სოციალურ საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი N6**

2022 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: მანანა ჭანია, ნანა ლემონჯავა, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია.

**დაწყების დრო: 12:00-სთ.**
**დასრულების დრო: 14:20-სთ**

**დღის წესრიგი:**

1. **ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრ-ის" მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ**

პროექტის წარმომდგენი:გელა თოლორაია, .ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის" დირექტორი

**2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი სქური"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ**

პროექტის წარმომდგენი: ელგუჯა სონგულია, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი სქური"-ის

2. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ**

პროექტის წარმომდგენი: ლანა შენგელია, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ის დირექტორი

1. **მოისმინეს 1.** ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი"-ის ანგარიში. საკრებულოს წევრებს ანგარიში გააცნო, ამავე ცენტრის დირექტორმა გელა თოლორაიამ. მან

ისაუბრა ბავშვთა რაოდენობის გაზრდაზე, რომელმაც შესაბამისად გაზარდა მომსახურების ხარჯებიც. სოციალურად დაუცველთა პროგრამით დასაქმებული პირების რაოდენობა შეადგენს 130-ს. სოფლებში გაიხსნა ფრენბურთის წრეები. თანხების ეკონომია მიმართულ იქნა ინვენტარის შეძენისა და წრეების გახსნისკენ. განხორციელდა დაწესებულების ოპტიმიზაცია, თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა 10 თანამშრომლით. ამ ეკონომიით მწვრთნელებისთვის შეძენილ იქნა ინვენტარი.

**მოისმინეს 2.** ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქურის"" მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. ინფორმაცია გააკეთა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-კლუბ „სქურის" დირექტორმა, ელგუჯა სონგულიამ,(ანგარიში თან ერთვის). საკრებულოს წევრის მანანა ჭანიას, შეკითხვაზე-რა თანხით ეხმარება ფედერაცია სქურის კლუბს, ა(ა)იპ-ს დირექტორმა უპასუხა, რომ- 150 000 ლარით, რომელიც ძირითადად ფეხბურთელებთან დაკავშირებულ ხარჯებზე ნაწილდება-ფორმებზე, ტრანსპორტირებაზე, სასტუმროებზე, კვებაზე და ა.შ, თუმცა ეს თანხაც ხარჯებთან შედარებით მწირია. საკრებულოს წევრის, ბაჩანა ქანთარიას კითხვაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქ.ჯვარში ამ ცენტრის აღსაზრდელთა რაოდენობა გაიზარდა, საჭიროა თუ არა მწვრთნელის დამატება მინიმუმ ერთით? რაზეც ცენტრის დირექტორი დაეთანხმა, მას მიაჩნია, რომ არამარტო ჯვარში, არამედ წალენჯიხაშიც აუცილებელია მწვრთნელის დამატება.

**მოისმინეს 3.** „ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში წარმოადგინა ცენტრის დირექტორმა ლანა შენგელიამ. მან საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დაქვემდებარებულმა საბავშვო ბაღებში, კორონა ვირუსის გავრცელების გამო, გვიან განხორციელდა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაწყება. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში შეიქმნა და აქტიურ მუშაობას შეუდგა მონიტორინგის ჯგუფები. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს საბავშვო ბაღებში არსებული პრობლემების განხილვა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. მან ცენტრის სახელით მადლობა გადაუხადა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, კორნელი სალიას და პარლამენტის წევრს ალექსანდრე მოწერელიას , არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად , ბაღებისთვის ეკოლოგიურად სუფთა სათამაშო ატრაქციებისათვის. თუმცა მიუხედავად დახმარებებისა, საკმარისი არ არის შიდა და გარე სათამაშოებითა და საგანმანათლებლო მასალით აღსაზრდელთა უზრუნველყოფა იმდენად რამდენადაც, მათი განახლება უნდა განხორციელდეს მუდმივ რეჟიმში.

ბაღებში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა და სასმელი წყალი. ლეჯოლოხეს ბაღს, ასევე ლიის (პალურის) ბაღს აქვს სავალალო მდგომარეობა ამ კუთხით, მთლიანად გაუმართავია საკანალიზაციოს სისტემა. ამასთან დაკავშირებით ცენტრმა მერიას მიმართა განცხადებით, რათა ერთობლივი ძალებით მოხდეს ამ პრობლემის გამოსწორება, რადგანაც ცენტრი თავისი სახსრებით ვერ შესძლებს მდგომარეობის გამოსწორებას.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ, მომხსენებელს მიმართა კითხვით, რატომ და ვინ დაგეგმა ბაღებში თანამშრომელთა ოპტიმზაცია, რაზეც ცენტრის დირექტორმა უპასუხა, რომ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილება და ეს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებაა. საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ მიმართა თხოვნით, ცენტრის დირექტორს, რომ მოხდებს თანამშრომელთა შენარჩუნება, რადგან ოპტიმიზაცია არ იძლევა იმ ოდენობის თანხის ეკონომიას, რომ გამონთავისუფლებულმა თანხამ მნიშვნელოვანი ეფექტი მისცეს სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს.

ამით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/